

ქალაქ ბათუმის საკრებულოს
დადგენილება №

2019 წლის „ **ნოემბერი**
ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დანართი №1-ის შესაბამისად;

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები დანართი №2-ის შესაბამისად;

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან

მუხლი 4.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016422).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე

თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	162,247.9	156,289.8	146,460.6		146,460.6
გადასახადები	32,055.0	73,153.6	76,303.3		76,303.3
გრანტები	81,242.1	37,656.9	26,000.0		26,000.0
სხვა შემოსავლები	48,950.8	45,479.3	44,157.3		44,157.3
ხარჯები	83,358.8	99,326.4	99,271.9		99,271.9
შრომის ანაზღაურება	19,374.6	22,229.0	23,588.5		23,588.5
საქონელი და მომსახურება	32,767.8	38,298.7	40,708.0		40,708.0
პროცენტი	3,898.0	5,315.0	5,610.7		5,610.7
სუბსიდიები	14,752.4	14,466.1	14,129.4		14,129.4
გრანტები	9.9	25.5	25.5		25.5
სოციალური უზრუნველყოფა	8,055.1	9,451.3	9,608.7		9,608.7
სხვა ხარჯები	4,501.1	9,540.8	5,601.1		5,601.1
საოპერაციო საღდო	78,889.1	56,963.5	47,188.7		47,188.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	55,723.0	51,247.8	25,846.9		25,846.9
ზრდა	60,502.7	61,947.8	37,846.9		37,846.9
კლება	4,779.7	10,700.0	12,000.0		12,000.0
მთლიანი საღდო	23,166.1	5,715.7	21,341.8		21,341.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	7,838.9	-8,524.8			
ზრდა	7,838.9				
ვალუტა და დეპოზიტები	2,500.5				
აქციები და სხვა კაპიტალი	5,338.4				
კლება		8,524.8			
ვალუტა და დეპოზიტები		8,524.8			
ვალდებულებების ცვლილება	-15,327.2	-14,240.5	-21,341.8		-21,341.8
კლება	15,327.2	14,240.5	21,341.8		21,341.8
საშინაო	15,327.2	14,240.5	21,341.8		21,341.8
ბალანსი	0	0	0	0	0

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	167,027.5	166,989.8	158,460.6		158,460.6
შემოსავლები	162,247.9	156,289.8	146,460.6		146,460.6
არაფინანსური აქტივების კლება	4,779.7	10,700.0	12,000.0		12,000.0
გადასახდელები	164,527.1	175,514.6	158,460.6		158,460.6
ხარჯები	83,358.8	99,326.4	99,271.9		99,271.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	60,502.7	61,947.8	37,846.9		37,846.9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	5,338.4				
ვალდებულებების კლება	15,327.2	14,240.5	21,341.8		21,341.8
ნაშთის ცვლილება	2,500.5	-8,524.8	0.0		0.0

მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 146,460.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
შემოსავლები	162,247.9	156,289.8	146,460.6
გადასახადები	32,055.0	73,153.6	76,303.3
გრანტები	81,242.1	37,656.9	26,000.0
სხვა შემოსავლები	48,950.8	45,479.3	44,157.3

მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 76,303.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
11	გადასახადები	32,055.0	73,153.6	76,303.3
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	5,005.9		
1111	ფიზიკური პირებიდან	5,005.9		
11111	საშემოსავლო გადასახადი	5,005.9		
113	გადასახადები ქონებაზე	27,049.1	25,200.0	28,500.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	27,049.1	25,200.0	28,500.0
11311	ქონების გადასახადი	27,049.1	25,200.0	28,500.0
113111- 113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	23,459.0	22,300.0	25,100.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,754.2	1,200.0	1,700.0
113114- 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	1,835.9	1,700.0	1,700.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადები		47,953.6	47,803.3

მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 26,000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
13	გრანტები	81,242.1	37,656.9	26,000.0
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	81,242.1	37,656.9	26,000.0
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	41,784.5	5,246.4	
133111	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	40,286.4		
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	40,286.4		
133121	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	1,498.1	5,246.4	
1331211	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	1,498.1	5,246.4	
	კაპიტალური დანიშნულების გრანტები	39,457.6	32,410.6	26,000.0
133112	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	3,925.3	1,751.8	

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
1331123	სხვა ტრანსფერი	3,925.3	1,751.8	
133212	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	35,532.3	30,658.8	26,000.0
1332122	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	35,532.3	30,658.8	26,000.0

მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 44,157.3 ათასი ლარის
ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	48,950.8	45,479.3	44,157.3
141	შემოსავლები საკუთრებიდან	3,840.7	3,328.0	2,657.3
1411	პროცენტები	1,273.4	1,140.0	550.0
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	1,273.4	1,140.0	550.0
1412	დივიდენდები	900.0	838.0	1,000.0
14121	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	900.0	838.0	1,000.0
1415	რენტა	1,667.3	1,350.0	1,107.3
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	355.4	150.0	150.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,311.9	1,200.0	957.3
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	38,689.4	35,441.3	35,800.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	38,684.1	35,441.3	35,800.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	449.3	400.0	500.0
1422312	მოსაკრებელი ძმეხელობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	449.3	400.0	500.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	2.8		
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2.0		
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	36,174.5	32,100.0	32,100.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,816.6	2,500.0	3,200.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	238.9	441.3	
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.3		
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5.3		
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5.3		
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	4,486.2	5,250.0	4,700.0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,934.5	1,460.0	1,000.0

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 99,271.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
2	ხარჯები	83,358.8	99,326.4	99,271.9
21	შრომის ანაზღაურება	19,374.6	22,229.0	23,588.5
22	საქონელი და მომსახურება	32,767.8	38,298.7	40,708.0
24	პროცენტი	3,898.0	5,315.0	5,610.7
25	სუბსიდიები	14,752.4	14,466.1	14,129.4
26	გრანტები	9.9	25.5	25.5
27	სოციალური უზრუნველყოფა	8,055.1	9,451.3	9,608.7
28	სხვა ხარჯები	4,501.1	9,540.8	5,601.1

მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 25,846.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 37,846.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	203.9	140.0	153.0
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	53,800.4	54,806.4	34,927.6
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,278.9	3,841.2	706.3
04 00	განათლება	1,964.6	1,835.4	1,214.4
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2,798.7	619.1	106.5
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	24.9	92.1	200.0
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	183.8	164.5	510.0
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	247.5	449.1	29.1
სულ		60,502.7	61,947.8	37,846.9

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 12,000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	4,779.7	10,700.0	12,000.0
311	ძირითადი აქტივები	23.6		
314	არამწარმოებლური აქტივები	4,756.1	10,700.0	12,000.0

მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 137,118.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
7	სულ	143,861.5	161,274.1	137,118.8
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13,056.6	17,031.6	20,352.6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,200.9	8,459.7	8,020.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,057.3	7,195.7	7,270.1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	143.6	1,264.0	750.0
7013	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,957.2	3,206.9	6,621.8
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	1,957.2	3,206.9	6,621.8
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	3,898.0	5,315.0	5,610.7
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.5	50.0	100.0
702	თავდაცვა	14.4	20.2	25.0
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	14.4	20.2	25.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	41,925.8	49,970.5	34,305.7
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	2.2	80.0	80.0
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები	2.2	80.0	80.0
7045	ტრანსპორტი	40,911.1	48,859.3	33,569.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	40,911.1	48,859.3	33,569.1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1,012.5	1,031.2	656.6
705	გარემოს დაცვა	11,199.6	13,209.8	13,813.8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	7,763.6	9,313.1	9,314.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3,436.0	3,896.7	4,499.8
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	31,247.8	28,238.4	20,343.5
7061	ბინათმშენებლობა	1,153.1	1,788.3	1,889.7
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3,731.6	6,233.7	3,510.0
7063	წყალმომარაგება	19,037.8	12,446.8	7,353.1
7064	გარე განათება	4,306.3	4,358.4	4,306.8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3,018.9	3,411.3	3,283.9

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
707	ჯანმრთელობის დაცვა	3,685.1	6,266.7	4,049.5
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	589.6	1,135.5	739.0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	589.6	1,135.5	739.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	142.9	160.8	182.5
70722	სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურება			
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	142.9	160.8	182.5
7073	საავადმყოფოების მომსახურება	371.7	530.2	442.7
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	85.4	185.2	97.7
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	286.3	345.0	345.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	1,150.8	2,065.7	
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში		7.2	
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1,430.1	2,367.3	2,685.3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	18,487.6	20,613.6	16,835.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	12,612.6	14,222.9	10,598.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	5,754.5	6,219.1	6,027.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	120.5	171.6	209.5
709	განათლება	14,883.3	16,618.5	16,883.3
7091	სკოლამდელი აღზრდა	14,707.3	16,437.5	16,689.4
7092	ზოგადი განათლება	8.9	11.0	13.9
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	8.9	11.0	13.9
7093	პროფესიული განათლება	27.2		
7094	უმაღლესი განათლება	100.0	100.0	100.0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	100.0	100.0	100.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	39.9	70.0	80.0
710	სოციალური დაცვა	9,361.3	9,304.8	10,510.4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2,157.5	2,594.4	2,820.1
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	5,910.6	6,710.4	7,690.3
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,293.2		

მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 21,341.8 ათასი ლარის ოდენობით:

მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება .0 ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	7,838.9	-8,524.8	
	ზრდა	7,838.9		
321	საშინაო	7,838.9		
3212	ვალუტა და დეპოზიტები	2,500.5		
3215	აქციები და სხვა კაპიტალი	5,338.4		
	კლება		8,524.8	
322	საშინაო		8,524.8	
3222	ვალუტა და დეპოზიტები		8,524.8	

მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -21,341.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 21,341.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-15,327.2	-14,240.5	-21,341.8
	კლება	15,327.2	14,240.5	21,341.8
331	საშინაო	15,327.2	14,240.5	21,341.8

თავი II

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები შემდეგი რედაქციით:

1 **პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

1.1 **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა.

1.1.1 **გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 01 01; 02 01 04)**

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

ცივი პლასტის საღებავით ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოები;
პლასტმასის ბოძის შეძენა

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

ახალი ბოძკინტების შეძენა;

სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერის შესყიდვა-დამონტაჟება;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

1.1.2 **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდები 02 01 02; 02 01 05)**

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობა:

ვაჟა-ფშაველას ქუჩის მონაკვეთი (ლადო ასათიანის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე)

ლუკა ასათიანის ქუჩის მონაკვეთი (ვარშანიძის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე)

პ. აბაშიძის ქუჩის მონაკვეთი (ლადო ასათიანის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე)

აჭარისწყლის შესახვევის კეთილმოწყობა

ბაგრატიონის ჩიხის კეთილმოწყობა

გონიოს ქუჩის კეთილმოწყობა

თევრათ გორგილადის ქუჩის კეთილმოწყობა

ლადო ასათიანის ჩიხის კეთილმოწყობა

ლუკა ასათიანის შესახვევის კეთილმოწყობა

მ. ვარშანიძის შესახვევის კეთილმოწყობა

პ. მელიქიშვილის ჩიხის კეთილმოწყობა

ლ. გელაძის ქუჩის კეთილმოწყობა

პ. მელიქიშვილის II შესახვევის კეთილმოწყობა

ნანა გვარიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა

ს. ხიმშიაშვილის ქუჩის N109-113-ის მონაკვეთის კეთილმოწყობა

ურეხის ქუჩის კეთილმოწყობა

ურეხის ჩიხის კეთილმოწყობა

დემეტრე თავდადებულის შესახვევის კეთილმოწყობა

მ. ვარშანიძის I შესახვევის კეთილმოწყობა

გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა

აღმაშენებლის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:

ქ. ბათუმში, გაგარინის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა

ბონი-გოროდოვის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:

ქ. ბათუმში, ბონი-გოროდოვის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა: ალ. ჩხაიძის ქუჩის (ფეხით სავალი ნაწილი ერთ მხარეს, ჯიბეები) და ქუჩის გაგრძელების იაშვილის ქუჩიდან ერისთავის ქუჩამდე, იოსელიანის, ერისთავის შესახვევისა და II ჩიხის, ა. ნოღაიდელის, იაშვილის, კაიკაციშვილის, იუნკერების, დადიანის და ს. თაყაიშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები

ჯავახიშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა

ლერმონტოვის ქუჩის გაგრძელება გენერალ აბაშიძის ქუჩამდე (ხორცკომბინატის მიმდებარე არსებული სანიაღვრე არხის მოწყობა) და სულხან საბა ორბელიანის ქუჩის კეთილმოწყობა

ხიმშიაშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა

ი. ჯავახიშვილის ქუჩა (ტბელ აზუსერიძის ქუჩიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე)

ჟილინის არხის მიმდებარე ქუჩების (მათ შორის ინასარიძის ქუჩის გაგრძელება) კეთილმოწყობა

თამარის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა

ქ. ბათუმში, ე.წ. „ბარცხანის“ ხიდის რეაბილიტაცია

აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა

ანგისის პირველი შესახვევის მონაკვეთების კეთილმოწყობა, აეროპორტის გზატკეცილი #238-დან #252-მდე ქუჩის კეთილმოწყობა, აეროპორტის გზატკეცილი #219-დან #235-მდე ქუჩის კეთილმოწყობა

ბაგრატიონი 2-ის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა

ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის I და II შესახვევების რეაბილიტაცია

გუდიაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია

ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა

1.1.3 გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 03; 02 01 06)

გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია;

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი;

1.2 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა;
- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;
- ბათუმის ავტობუსების პროექტის თანადაფინანსება.

1.2.1 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა (პროგრამული კოდი 02 02 01)

ადმინისტრირება და მართვა;

1.2.2 მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 02)

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);

1.3 საზაფხულო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია.

1.3.1 სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 03 01-02 03 05)

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია; სანიაღვრე ჭის სახურავების შეძენა.

- ქალაქის სანიაღვრე არხების კაპიტალური რეაბილიტაცია
- 1.3.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდეზი 02 03 02 - 02 03 06)**
 თოდოგაურის დასახლებაში წყალსადენის ქსელის მოწყობა (II ეტაპი - 40 ოჯახის დამატებით)
- 1.3.3 ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდეზი 02 03 04)**
 შპს "ბათუმის წყალი-ს" სუბსიდირება;
 პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება;
 ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;
- 1.4 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდეზი 02 04)**
 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
 - საცხოვრებელი სახლების მშენებლობა
 - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
- 1.4.1 საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდეზი 02 04 01; 02 04 04)**
 ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩა №78ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ერთეული 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება
- 1.4.2 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდეზი 02 04 03)**
 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავებზე თოვლდამჭერების, წყალშემკვრები და წყალსაწრეტი ღარების მონტაჟი;
 'მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;
 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა;
 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი;
 'მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი;
 არსებული ატრაქციონების რეაბილიტაცია;
 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური პულტით მართვადი ბარიერების მოწყობა;
 მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის სკამების-ფანჯატურების შეძენა (განლაგებით);
 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;
 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტრო საკეტების მოწყობა;
 ეზოებში შესასვლელში ახალი ჭიშკრების შეძენა-მონტაჟი;
 საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შეძენა-მონტაჟი;
 მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა;
 ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;
 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მოწყობა;
 საცხოვრებელ სახლებზე დაზიანებული აზბესტის ფურცლების ნაცვლად ლითონის პროფილური ფურცლის აკვრა.
- 1.5 მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდეზი 02 05)**
 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
 - მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;
- 1.5.1 მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდეზი 02 05 01)**
 ადმინისტრირება და მართვა;
 უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;

- ფერიის სასაფლაოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- 1.6 ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)**
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
- ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;
- 1.6.1 ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)**
- ადმინისტრირება და მართვა;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.
- 1.6.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)**
- შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით);
- მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა.
- 1.7 ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)**
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;
- 1.7.1 ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 07 01)**
- საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;
- წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;
- ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;
- ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.
- 2 პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)**
- 2.1 ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)**
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.
- 2.1.1 ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)**
- ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;
- ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა;
- ნარჩენების გატანა;
- ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.
- 2.1 ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)**
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;
 - ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

- 2.1.2 პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდები 03 02 02)
- 2.1.3 ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა.
ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)
ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;
სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;
ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა;
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.
- 3 **პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**
- 3.1 **სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია;
- 3.1.1 **ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)**
საბავშვო ბაღების მართვა-აღმინისტრირება;
საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;
საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ტრენინგები.
- 3.1.2 **საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 03)**
ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები;
ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა;
საბავშვო ბაღების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.
- 3.2 **პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)**
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის;
- საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.
- 3.2.1 **პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)**
უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა (20 ბენეფიციარი).
- 3.2.2 **ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)**
სტიპენდიების გაცემა (თვეში 200 ლარი);
- 3.2.3 **საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 04)**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების მხარდაჭერა;
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა.
- 3.3 **ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)**
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა
- 3.3.1 **ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03 01)**
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება.
- 4 **პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**
- 4.1 **სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა
- ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;
- ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“;
- ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი;

4.1.1 მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ეზოს ფეხბურთი

სპორტული ფესტივალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში - „დედა, მამა და მე - სპორტული ოჯახი“

სასკოლო სპორტის ფესტივალი

საუნივერსიტეტო სპორტის ფესტივალი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპორტის ფესტივალი

აუტიზმის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა

პროექტების მხარდაჭერა;

4.1.3 ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა;

წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან;

4.1.5 ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 05)

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;

ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

4.1.6 ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;

სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;

ცხენებისათვის საკვები მარაგების შეძენა და სამედიცინო მომსახურება.

4.2 მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი;
- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

4.2.1 ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

მართვა და ადმინისტრირება;

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება;

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება;

ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა,

'სანიზოსნო სპორტის განვითარების ხარჯები (ბაიდარკები).

4.3 კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- კულტურული ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;
- ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები;
- კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა;
- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

- 4.3.1 კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)**
 ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის დაფინანსება ქალაქში სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებისა და მართვის მიზნით .
- 4.3.2 ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)**
 3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები
 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა
 9 აპრილი -საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები
 8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
 ბათუმობის ღონისძიებები
 ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები
- 4.3.3 კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)**
 ებრაული, აზერბაიჯანული, უკრაინული, რუსული, სომხური, იეზიტური, თურქული, ბერძნული და გერმანული ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება.
- 4.3.4 საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)**
 ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კონკურსის წესით შერჩეული საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა
- 4.3.5 კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)**
 დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით კონკურსში გამარჯვებულ პირთა დაფინანსება.
- 4.4 კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**
 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:
 - ფოლკლორის ხელშეწყობა;
 - თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა;
 - კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა;
 - ხელოვანთა ხელშეწყობა;
 - ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;
- 4.4.1 ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)**
 ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმის“ დაფინანსება;
 საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.
 'საიუბილეო საღამოს ორგანიზება.
- 4.4.2 თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)**
 ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ჯაზ-ბიგ ბენდის და ჯგუფი „GEO PLANET“-ის დაფინანსება;
- 4.4.3 კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)**
 ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა კამერული გუნდის, სიმებიანი კვარტეტის და სასულე ორკესტრის დაფინანსება;
- 4.4.4 ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)**
 საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილე პირთა დაფინანსება: იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მოღვაწეობენ ბათუმში და სურთ მონაწილეობის მიღება საერთაშორისო

კულტურულ ღონისძიებებში (მათ შორის კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში).
ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით;
საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა დაფინანსება; ღონისძიება „წლის ხელოვანი“

4.4.5 ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-აღმინისტრირება;
კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები;
ბეჭდური გამოცემების შეძენა, წიგნადი ფონდის შევსება-განახლება;
ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
ბიბლიოთეკის ძირითადი შენობის სარდაფში წიგნისა და მარკების მუზეუმისათვის სივრცის მოწყობა.

4.5 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია.

4.5.1 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 05 05 01)

თავდადებულის ქ. N35-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია.

4.6 განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდობისათვის (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ახალგაზრდული ცენტრის შექმნა;

- ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

4.6.1 ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა;

ახალგაზრდული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;

ახალგაზრდული ცენტრის ბრენდირება, ახალგაზრდების ინფორმირებულობა;

არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა;

კლუბების განვითარების ხელშეწყობა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა;

აქტიური ახალგაზრდობისთვის წამახალისებელი ღონისძიებები;

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

4.6.2 ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?

ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი)

„აჭარის საერთაშორისო ჯემბორი - სკაუტური სამყარო“

კონკურსი „სიტყვის კონა“

5 პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

5.1 ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;

- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;

- ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;

- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა;

- C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება;

- შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია;

- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;

- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;

- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;

- ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება;

- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;

- სამედიცინო დაწესებულებების შესაძლებლობების კვლევა.

5.1.1 მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ეპილექსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება;

18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება;

პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის 200 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.

5.1.2 ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე და 70 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია

ფილტვის კიბოს სქრინინგი;

25 დან 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია

ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის ონკო-მარკერებით გამოკვლევა; საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით.

60 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და ექოსკოპია.

5.1.3 ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)

ქ. ბათუმში რეგისტრირებული, შშმ სტატუსის მქონე 18 წელს გადაცილებული პირის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (40 ბენეფიციარი).

5.1.4 მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებათ.

5.1.6 შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 07)

შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების დასვენება;

შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების თანმხლები პირების მომსახურება.

5.1.7 ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში:

ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 18 წლამდე ასაკის ძალადობის მსხვერპლ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურება

ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა მეორადი (საჭიროების შემთხვევაში) სქრინინგი მუკოვისციდოზზე

ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა

ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება.

ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;

5.1.8 ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 10)

ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება;

ლეიკემიით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პირებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება;

5.1.9 მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 12)

ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების ფარგლებში მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 2018 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს, რომლებიც ჩართული არიან საყოველთაო ჯანდაცვაში: N 36-ე დადგენილებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; მოქალაქეებს, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ასევე 165-ე დადგენილების ბენეფიციარებს (0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, ასაკით პენსიონერებს, სტუდენტებს), რომელთაც არ აქვთ 70001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა და რომლებიც არ სარგებლობენ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით. მათ დაუფინანსდებათ მკურნალობა გარკვეული სქემის მიხედვით. (საყოველთაო დაზღვევით განსაზღვრულ ზღვრულ ტარიფამდე).

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ასევე ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ღვიძლის ტრანსპლანტაციის და ძვლის ტვინის გადანერგვის საჭიროების მქონე პირთა დახმარება

5.1.11 თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (06 01 14)

მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება.

5.1.12 სამედიცინო დაწესებულებების შესაძლებლობების კვლევა (06 01 15)

განხორციელდება კვლევის ჩატარება სამედიცინო ტურიზმის სხვადასხვა ასპექტების გამოვლენის მიზნით.

6.2 სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
- მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
- მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა
- მუნიციპალური უფასო სასადილო;
- დროებითი ღამის თავშესაფარი;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა;

- მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერა;

- დასაქმების ხელშეწყობა.

6.2.1 კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)

წყლისა და კანალიზაციის საფასურის დაფარვა (თვეში ერთ სულზე 1,85 ლარი):

მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი

ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები

0-70000 ჟულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები

დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა (თვეში ერთ სულზე 1,30 ლარი):

მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი

ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები

0-70000 ჟულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები

სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა (თვეში ერთ ოჯახზე 5 ლარი);

▪ *მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი*

▪ *ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალ დაკარგულები*

გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მიღმაცვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ს თანადაფინანსება (არაუმეტეს 360 ლარისა) ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე:

მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები

ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალ დაკარგულები

0-70000 ჟულის მქონე სოციალურად დაუცველი პირები

ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება.

6.2.2 მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა

15 თებერვალი - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები

9 მაისი - II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები

27 სექტემბერი - საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ინვალიდები

ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები; საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და დაინვალიდებული ვეტერანები; II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები.

შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა

ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა

გარდაცვლილი ვეტერანი (ომის მონაწილე)

გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი (0-70000 ჟულის მქონე) პირი

ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.

სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდემდამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა

0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 80 ლარის ოდენობით

0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4 შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით

0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 180 ლარის ოდენობით

5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით

უდემდამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 300 ლარის ოდენობით

"18 წლის ასაკის ჩათვლით შშმ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირთა მატერიალური დახმარება "

მარტოხელა მშობლების ყოველთვიური დახმარება 60 ლარის ოდენობით

სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა

6.2.3 მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 03)

განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (მასწავლებლები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომელთა ხელფასი არ აღემატება 650 ლარს თვეში) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება;

განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, მოსწავლეები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება.

6.2.4 მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება;

ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება.

6.2.6 მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 06)

მუნიციპალური უფასო სასადილოების ადმინისტრირება და მართვა;

საკვები პროდუქტების შეძენა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

6.2.7 დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 07)

დროებითი ღამის თავშესაფარის ადმინისტრირება და მართვა;

ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურება;

საკვები პროდუქტების შესყიდვა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

6.2.8 საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 08)

ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა;

ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდილის" ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა;

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა;

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის დახმარების გაწევა.

6.2.9 მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა (პროგრამული კოდი 06 02 10)

სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001; სამი და მეტი შვილიანი, სოციალურად

დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30.001; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1.001-ს პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, სოციალური დანიშნულების საქონლისა და სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რემონტი;

6.2.10 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 11)

ასისტენტებისათვის ტრენინგების ჩატარება;

მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის შშმ პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ასისტენტით მომსახურება, დაზუსტადა ღონისძიების სახელწოდება.

6.2.11 დასაქმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 12)

განხორციელება ბენეფიციართა სუბსიდირება (დამსაქმებლის მიერ წარდგენილ ვაკანსიაზე გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების 30%-ის ოდენობით, არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა).

6.3 სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი;

- დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები;

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.

6.3.1 ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 03 01)

ჩამონაბანის აღება;

კალორაჟის განსაზღვრა;

განათების კოეფიციენტის განსაზღვრა;

აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევა;

სილამაზის სალონებისა და სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე;

სადეზინფექციო საშუალებების ქიმიური კვლევა;

კვების პროდუქტების მონიტორინგი (ბაღებში);

კვების პროდუქტების მონიტორინგი (სასადილოებში).

6.3.2 დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 02)

მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი (6 თვე);

ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია ყოველთვიურად (12 თვე);

ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერი (6 თვე);

ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია ყოველთვიურად (12 თვე);

ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ, მაისი-ოქტომბერი;

ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, შენობა - ნაგებობების და სათავსოების გარშემო;

ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში;

ქვეწარმავლობის დაჭერა, ტრანსპორტირება და დაუსახლებელ ტერიტორიაზე გაშვება.

6.3.3 მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 03)

